საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

01/05/2026

MES 6 26 0000514904

**გადაწყვეტილება**

**"სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 27 ივნისის № 773776 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №514454, 01.05.2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 27 ივნისის №773776 გადაწყვეტილების პირველ პუნქტში და გადაწყვეტილების დანართი №1-ის მე-18 პუნქტში, შევიდეს ცვლილება და "მექანიკის ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს - 2027 წლის 01 აპრილამდე.
2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 1 მაისის სხდომის № 514454 ოქმის №16 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო

დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე